2019 წლის 01 აგვისტოს, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 136 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (CMR190133928) შეთანხმება N 136/1

ქ. ფოთი **6 სექტემბერი 2019 წელი**

ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი თვითმმართველი ერთეული (ქ.ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №12 ს/ნ 215138143), წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის გოჩა კურდღელიას სახით შემდგომში "შემსყიდველი" და შპს „ორიენტ ლოჯიკი" (ქ. თბილისი, ბელიაშვილის N106; ს/ნ 202052054) წარმოდგენილი დირექტორის მინდობილი პირის ალან სანაკოევის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი" ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2019 წლის 01 აგვისტოს №136 ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2019 წლის 01 აგვისტოს №136 ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1.1 ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1.8 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
1.1.8 სატენდერო დოკუმენტაცია - A4 ფორმატის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ჭავლური პრინტერებისა და მათთვის განკუთვნილი ორიგინალი კარტრიჯების 2019-2020 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (CON190000360) სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა დანართის სახით ფიზიკურად არ დაერთოს წინამდებარე ხელშეკრულებას, მაგრამ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.2 ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
2.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ 13 (ცამეტი) ცალი A4 ფორმატის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ჭავლური პრინტერის (CPV - 30232150) და მისთვის განკუთვნილი 13 (ცამეტი) ცალი კარტრიჯის (CPV - 30192113) (შემდგომში „საქონელი") სახელმწიფო შესყიდვა დანართი №1–ის, დანართი №2-სა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.3 ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.5 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
8.5. ვინაიდან, მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებულ სტანდარტულ ორიგინალ კარტრიჯში არ არის ინტეგრირებული ე.წ. „მელნის ნარჩენების რეზერვუარი", მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველი ორგანიზაცია უსასყიდლოდ უზრუნველყოს მელნის ნარჩენების რეზერვუარით, შემსყიდველის მიერ ყოველი 50 000 გვერდის ბეჭდვის რესურსის მქონე ორიგინალი კარტრიჯების შეძენისას. მწარმოებლის შესაბამისი რეკომენდაცია მელნის ნარჩენების რეზერვუარის რესურსის შესახებ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილია ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების წინამდებარე ცვლილება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებათა სრულ შესრულებამდე.
3. ხელშეკრულების სხვა პუნქტები, რომლებშიც არ არის შესული ცვლილება, რჩება უცვლელად და წარმოადგენს აუცილებლად შესასრულებელ პირობას.

4. წინამდებარე ცვლილება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელშეკრულება დამოწმებული ელექტრონული დოკუმენტის სახით, დოკუმენტის ყველა ეგზემპლარი ორიგინალია. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

5. ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერები
და საბანკო რეკვიზიტები:

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი

ქ. ფოთი, დ.აღმაშენებლის ქ. №12

საიდენტიფიკაციო კოდი: 215138143

ელ-ფოსტა: potitenderi2011@gmail.com

საკონტაქტო ინფორმაცია: 0493-22-45-54

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

გოჩა კურდღელია

Gocha Kurdgelia Digitally signed by Gocha Kurdgelia Date: 2019.09.06 13:31:26 +04'00'

_____

შპს ორიენტ ლოჯიკი

ქ. თბილისი, ბელიაშვილის N106

საიდენტიფიკაციო კოდი: 202 052 054

საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ბაზის ბანკი“

ა/ანგარიში: GE96BS 0000 0000 0593 6872

ბანკის კოდი: CBASGE22

დირექტორის მინდობილი პირი

ალან სანაკოევი

ORIENT LOGIC LLC Digitally signed by ORIENT LOGIC LLC Date: 2019.09.10 13:05:17 +04'00'

_____